შპს "საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრი"
LTD "THE SCIENTIFIC CENTER OF ENGINEERING BUILDING DESIGNING RESEARCH AND EXPERTISE"
ტელ: 577588218 599179823; (032) 2227704
E-mail: d.tabatadze@gtu.ge

"22" 12 2021 წელი

ვამტკიცებ,
დირექტორი:

ექსპერტიზის დასკვნა

დამკვეთის იდენტიფიკაცია:შპს „ ლენდმარკ პროჯექტი"

დასკვნის შედგენის საფუძველი: **2021 წლის 15 დეკემბრის ხელშეკრულება**

ექსპერტიზის ობიექტი: ქ. თბილისი, გოძიაშვილის 99ა, ს/კ 01.10.10.016.047 და ს/კ 01.10.10.016.046 შენობა-ნაგებობის კონსტრუქციების სადემონტაჟო სამუშაოების პროექტი

ექსპერტიზის ამოცანა: ქ. თბილისი, გოძიაშვილის 99ა, ს/კ 01.10.10.016.047 და ს/კ 01.10.10.016.046 შენობა-ნაგებობის კონსტრუქციების სადემონტაჟო სამუშაოების პროექტის ექსპერტიზა – ნორმატიულ ლიტერატურაში მითითებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა

თბილისი
2021 წელი

შემადგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებელები - - - - - - - - - - - - - - - - - - 2
2. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები - - - - - - - - - - - - - - - - - - 2
3. წარმოდგენილი მასალები - - - - - - - - - - - - - - - - - - 3
4. კვლევითი ნაწილი - - - - - - - - - - - - - - - - - - 3
5. დასკვნა - - - - - - - - - - - - - - - - - - 9

ინსპექტირების შემსრულებლები

დემური ტაბატაძე – განათლება უმაღლესი, კვალიფიკაცია: ინჟინერ-მშენებელი, ტექნ. მეცნ. კანდიდატი მშენებლობის დარგში, სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის კათედრის პროფესორი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, საინჟინრო აკადემიიის აკადემიკოსი, მუშაობის სტაჟი – 42 წელი.

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. 1.საქართველოს მთავრობის დადგენილება №255 2019 წლის 31 მაისიქ. თბილისი მშენებლობის ნებართვის გაცემისადაშენობა ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ
2. .საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება და მშენებლობის ნებართვის გაცემის წესის და სანებართვო პირობების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება;
3. საქართველოს მთვარობის №71 დადგენილება –„საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები“:
   - ტექნიკური რეგლამენტი – „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (დანართი 1);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „შენობებისა და ნაგებობების ფუძეები“ (დანართი 2);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (დანართი 3);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „წყალმომარაგების და კანალიზაციის გარე ქსელები და ნაგებობები“ (დანართი 4);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (დანართი 5);

4. СНиП II - 23-81 „Стальные конструкции“;
5. СНиП II 21 - 75 „приложение 5“.

6. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“;
7. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების შესახებ;
8. სნ და წ 3.01.01-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“;
9. სნ და წ 12.04-2004 „მშენებლობის ორგანიზაცია“;
10. სნ და წ 2.01.02-85 „ხანძარსაწინააღმდეგო ნორმები მშენებლობაზე“.

წარმოდგენილი მასალები

შპს „ ლენდმარკ პროჯექტი“-ში დამუშავებული . თბილისი, გოძიაშვილის 99ა, ს/კ 01.10.10.016.047 და ს/კ 01.10.10.016.046 შენობა-ნაგებობის კონსტრუქციების სადემონტაჟო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი – ელ.ვერსია, PDF-ფაილი.

კვლევითი ნაწილი
შესავალი

ექსპერტის ამოცანას წარმოადგენს:

. თბილისი, გოძიაშვილის 99ა, ს/კ 01.10.10.016.047 და ს/კ 01.10.10.016.046 შენობა-ნაგებობის კონსტრუქციების სადემონტაჟო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტის ექსპერტიზა – ნორმატიულ ლიტერატურაში მითითებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

კვლევა

სადემონტაჟო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი. დამუშავებულია შპს „ ლენდმარკ პროჯექტი “-ის (ბ.გოგოლაური,ი ჩიხრაძე)მიერ თბილისი, 2021 წელი. სადემონტაჟო ობიექტი მდებარეობს საკუთრებაში მყოფ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.10.016.047 და ს/კ 01.10.10.016.046), იგი შესრულებულია 16 ფურცლისგან შედგენილ ალბომად. დემონტაჟის პროექტში წარმოდგენილია: დასაშლელი ობიექტი და მიმდებარე ტერიტორია

კალენდარული გრაფიკი შენობის დაშლაზე
შენობის დაშლითი სამუშაოების განხორციელების ცალკეული ეტაპები
მოთხოვნილება კადრებზე და დროებით შენობა-ნაგებობებზე
ლარში გადამყვანი ინდექსის შესახებ
მოთხოვნილებები ენერგორესურსებზე, წყალზე, კომპრესორებზე და ჟანგბადზე
მოთხოვნილება სამშენებლო ავტოტრანსპორტზე
საინჟინრო მომზადება და მათი წარმართვის ცალკეული ეტაპები
დაშლის სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები
მოსამზადებელი სამუშაოები და დასაშლელ სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია .
ამწეებისა და მანქანა-მექანიზმების შერჩევა
მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის თაობაზე
ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები
დაშლით სამუშაოთა წარმოებაზე ნორმატული ლიტერატურა
დაშლითი სამუშაოების გენგეგმა, ექსპლიკაცია
აზომვითი ნახაზები გეგმები, ჭრილი
ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
საკადასტრო გეგმა
ფოტო მასალა არსებულ მდგომარეობაზე

2. აღნიშნული ობიექტი მდებარეობს თბილისში, გოძიაშვილის 99ა საკადასტრო გეგმით ტერიტორიაზე განლაგებულია რამდენიმე შენობა-ნაგებობა რომელიც ექვემდებარება დემონტაჟს. შენობების მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ძირითადი შენობა 01/1 სამრეწველო ტიპის სამმალიანია. ორსართულიანი შენობა 03/2 ადმინისტრაციული ტიპის და გადახურულია ანაკრები ფილებით. რამდენიმე შენობა უკვე დანგრეულია. დანარჩენი შენობები ერთსართულიანია და აწყობილია მსუბუქი კონსტრუქციებისაგან. კედლები აშენებულია სილიკატური აგურით

.

უნდა აღინიშნოს,რომსაქართველოსტერიტორიისახალი სეისმურიდარაიონების მიხედვით თბილისი 8 ბალიან ზონად განიხილება, გასული საუკუნის პერიოდში აგებული შენობები ძირითადად 7ბალზეაგათვლილი.

სადემონტაჟო ადმინისტრაციული ტიპის შენობა 03/2-ის დემონტაჟი:
კონსტრუქციების დემონტაჟი და გადმოტვირთვა მოხდება საავტომობილო ამწე KC-65717-34 /IVECO Trakker/-ს საშუალებით. ამწის შერჩევა განპირობებულია ანაკრები

კონსტრუქციების წონით. ამწის შერჩევა და მარკის შეცვლა შეიძლება მოხდეს სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად ანალოგიურ მარკაზე.

სამუშაოების თანმიმდევრობა:

პირველ რიგის დროს სახურავის, სახურავის კონსტრუქციების, კარ-ფანჯრების ამოღება, იატაკების აყრა და ტიხრების

დემონტაჟი. სამუშაოების განხორციელება მოხდება ხელით.

მეორე რიგის დროს მოხდებაერთი სართულის ფარგლებში გადახურვის ფილების და შემდეგ საკედლე ბლოკების დემონტაჟი. შემდეგ მოხდება ქვედა სართულის გადახურვის ფილების და საკედლე ბლოკების დემონტაჟი. სამუშაოების განხორციელება მოხდება საავტომობილო ამწის დახმარებით. ამწემ უნდა იმოძრაოს გარე კედლთან.

მესამე რიგის დროს გათვალისწინებულია გრუნტის დამუშავება ხელით და საძირკვლის ამოღება.

სამრეწველო ტიპის შენობა 01/1-ის დემონტაჟი:

კონსტრუქციების დემონტაჟი და გადმოტვირთვა მოხდება საავტომობილო ამწე КС-65717-34 /IVECO Trakker/-ს საშუალებით. ამწის შერჩევა განპირობებულია ანაკრები და ლიტონის კონსტრუქციების წონით.

პირველ რიგის დროს სახურავის, სახურავის კონსტრუქციების, კარ-ფანჯრების ამოღება, იატაკების აყრა და ტიხრების

და კედლების დემონტაჟი. სამუშაოების განხორციელება მოხდეს ხელით.

მეორე რიგის ამწის საშუალებით მოხდება გადახურვის სისტემის დემონტაჟი. ამწემ უნდა იმოძრაოს შუამალში.

მესამე რიგის დროს უნდა მოხდეს სვეტების დემონტაჟი. ამწე მოძრაობს აგრეთვე შუა მალში.

მეოთხე რიგის დროს მოხდეს გრუნტის დამუშავება ხელით და საძირკვლის ამოღება.

შენობის დემონტაჟი უნდა განხორციელდეს სიფრთხილით, განსაკუთრებით მეზობელი შენობის სიახლოვეს, რათა არ მოხდეს მისი უნებლიე დაზიანება. სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს ზემოდან ქვევით სათანადო კომისიის დასწრებით.

უსაფრთხოების მენეჯერი/სპეციალისტის მიერ სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე ხდება საფრთხეების იდენტიფიცირება, რისკების შეფასება და პრევენციული ზომების შემუშავება! აკრძალულია: სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება ორი-სამი კონსტრუქციების ერთად!

სამუშოების დროს გათვალისწინებულია:
კონსტრუქციის დროებითი გამაგრება /საჭიროების შემთხვევაში/, მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა:სპეციალური ქამრებით, რესპირატორებით, დამცავი სათვალეებით, ხმაურდამხშობი საყურისებით, ხელთათმანებით და
სპეც. ტანსაცმლით, დემონტირებული კონსტრუქციების დროებითი დასალაგებელი ადგილი, აქტის შედგენა ძირითადი პერიოდის სამუშაოების შესახებ. სამუშოების დროს გათვალისწინებული: ყველა კონსტრუქციის დროებითი გამაგრება, მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა სპეციალური ქამრებით და სათვალეებით, დემონტირებული კონსტრუქციების დროებითი ადგილი, აქტის შედგენა ძირითადი პერიოდის სამუშაოების შესახებ.

ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და ყველა სადემონტაჟო კონსტრუქციების გამაგრება. ყველა საშიში ადგილი უნდა იყოს შემოღობილი სათანადო განათებით ღამის საათებში. სამშენებლო ნაგავი დროულად უნდა იქნას გატანილი. არსებულ შენობებთან სამუშაოების განხორციელება მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილით. მსუბუქი კონსტრუქციების გამო სამუშაოების განხორციელება მოხდეს მარტო ხელით. მონოლითური რკინაბეტონის უბნების დანგრევა მოხდეს საკომპრესორო დანადგარით და სანგრევი ჩაქუჩებით.

მოსამზადებელი სამუშაოები:

- ხალხის გაყვანა სადემონტაჟო უბნიდან;
- გარე და შიგა ქსელების გამორთვა;
- მიწისქვეშა ქსელების დაზუსტება და საჭიროების შემთხვევაში გადატანა;
- „დროებითი ნაგებობები“-ს განლაგება – შეზღუდული პირობების გამო, სამუშაოთა მწარმოებლის სურვილის თანახმად;
- დროებითი ღობის დაყენება – სამშენებლო მოედანზე შესვლა მოხდება არსებულ ჭიშკრიდან;
- სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით არსებული ქსელებიდან;
- აქტის შედგენა მოსამზადებელი პერიოდის სამუშაობის შესახებ.
- მოსამზადებელი სამუშაოები:
- ნაგებობების მინის შევსების დემონტაჟი
- სამშენებლო ნაგვის გატანა
- გაზის მარიგებელი სვეტების აპარატების დემონტაჟი
- ნაგებობების სახურავების დემონტაჟი
- ნაგებობების ლითონის მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი

- მონოლითური რკინა-ბეტონის იატაკების დაშლა

სამშენებლო ორგანიზაცია დაამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს. აღნიშული უნდა ემყარებოდეს დემონტაჟის პროექტში მიღებული გადაწყვეტილებებს.

სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება გათვალისწინებულია მოხდეს ზემოდან ქვევით სათანადო კომისიის დასწრებით და აკრძალულია ერთდროულად ორი-სამი კონსტრუქციის სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება.

პროექტში არის გაკეთებული მითითებები იმ ნორმატიულ აქტებზე, რომელთა მიხედვითაც დამუშავებულია პროექტი და უნდა წარიმართოს დემნტაჟისა სამუშაოები.

საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად: გრუნტის დამუშავება მოხდება უკუჩამჩიანი ექსკავატორით და ხელით. აღნიშნული, რომ არსებულ ქსელებთან და არსებულ შენობებთან 1.0 მ-ის მანძილზე გრუნტი დამუშავდეს მხოლოდ ხელით. გრუნტის და ბალასტის უკუჩაყრა მოხდეს ხელით და ბულდოზერით. საჭირო მოცულობა უნდა იქნას შემოტანილი.ყურადღება გამახვილებულია, რომ ქვაბულის დამუშავებისას გათვალისწინებული იყოს არსებული შენობების საძირკვლის და მოქმედი მიწისქვეშა ქსელების ადგილმდებარეობა.

სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები სადემონტაჟო ნაგებობების დაშლამდე აუცილებელია არსებული საინჟინრო ქსელების, კომუნიკაციებისა და კაბელების ჩახსნა საქალაქო ქსელებიდან საექსპლუატაციო ორგანიზაციების მეთვალყურეობის ქვეშ. შენობების დაშლა ხდება სამონტაჟო სამუშაოების თანმიმდევრობის საპირისპიროდ, ე.ი. ზემოდან ქვევით. სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარება გათვალისწინებულია ხელით, ლითონკონსტრუქციების ადგილზე ჩაჭრით,დანაწევრებით. რკინა-ბეტონის იატაკის ფილების კონსტრუქციების დემონტაჟი სანგრევი ჩაქუჩის მეშვეობით.



უსაფრთხოების ტექნიკა 1. უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე დაუშვებელია. 2. მუშა-მომსახურე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მშენებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის საკითხებზე, ასევე ტარდება გამოცდაც. 3. სამუშაოების შესრულების დროს საჭიროა С иП-III-4-80 თავის “უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში” და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების დაცვა.

სახიფათო ზონები აუცილებლად უნდა იყვნენ აღნიშნულნი და შემოღობილნი ყველა ფაქტორის გათვალისწინებით

ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხი ა. სადემონტაჟო სამუშაოების დაწყება დაიშვება მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის შემდეგ. სამუშაოები აუცილებელია განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით. ბ. გარემოს დაცვის სამ-

სახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა ან განადგურება. გ. დაუშვებელია არსებულ საკანალიზაციო ჭებში ბეტონ და ხსნარ მილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით. დ. სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ღიად ჩამოყრა დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებურ ზონაში. შენობა უნდა აღიჭურვოს ინვენტარული კონუსური ტიპის ნაგავგამტარებით და ნაგვის ჩამოცლა კი მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი მანქანების ძარებში. ზ. გატარდეს ღონისძიებები ხანძრის საშიშროების თავიდან ასაცილებლად ამჟამად მოქმედი სანიტარული ნორმების (№30777-84) მიხედვით გატარდეს ღონისძიებები რათა ხმაურის დონე სამუშაოთა წარმოების მიმდინარეობისას არ აღემატებოდეს 55დ.ბ. თ. გათვალისწინებული იქნას აგრეთვე სამშენებლო ნარჩენების მინიმიზაცია, პოლიმერული ნარჩენის გატანა ტერიტორიიდან მოხდეს შესაბამისი ნორმების დაცვით. ი. სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი მტვრის შემცირების მიზნით მშრალ ამინდში ტერიტორია მოირწყას, ხოლო სამშენებლო მასალების ტრანსპორტირება მოხდეს დახურული ან ტენიანი ავტოტრანსპორტით. მაღალი სართულებიდან ნაგვის ტრანსპორტირება იწარმოოს მილებით. II – სამშენებლო მანქანების, მექნიზმების, დანადგარებისა და ინსტრუმენტის ჩამონათვალი III –

სამშენებლო მასალების მიწოდება და სამშენებლო ნაგვის გატანა განხორციელდეს ხელით. დროებით “ნაგებობებთან” “გადასვლა ” მოხდეს ნულოვანი ციკლის დამთავრების შემდეგ.

ვინაიდან დემონტაჟის სამუშაოების ხანგრძლივობა არ განისაზღვრება СниП 1.04.03-85, ხანგრძლივობა პირობითად მიღებულია 4 თვე, სამუშაოთა მოცულობიდან გამომდინარე. კალენდარული გეგმა თ=4.0 თვე სამუშაოს დასახელება დღე 1 თვე 2 თვე 3 თვე 5 10 15 20 25 30 5 10 15 20 25 30 5 10 15 20 25 30 მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები 1 მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება /იხ. განმარტებითი ბარათი/

ძირითადი პერიოდის სადემონტაჟო სამუშაოები შენობა №01/1, 03/1, 09/1 1 სახურავის ფენილის აყრა, კარ-ფანჯრების ამოღება, ტიხრების და კედლების დემონტაჟი, იატაკების აყრა, გადახურვის სისტემის დემონტაჟი, სვეტების დემონტაჟი, გრუნტის დამუშავება და საძირკვლის დანგრევა და ამოღება შენობა №03/2, 07/1, 06/1, 02/1, 08/1 1 მიშენებების აღება, სახურავის, სახურავის კონსტრუქციების, კარ-ფანჯრების ამოღება, იატაკების აყრა და ტიხრების დემონტაჟი. გადახურვის ფილების, კიბის და საკედლე ბლოკების დემონტაჟი. გრუნტის დამუშავება ხელით და საძირკვლის ამოღება. დანარჩენი ნაგებობების აღება: 04/1, 05/1/, 10/1, 11/1, 04/1, 02/1 1 მსუბუქი კონსტრუქციების გამო სამუშაოების განხორციელდება ხელით.

დემონტაჟის პროექტით ავტორთა მიერ გათვალისწინებულია შენობა-ნაგებობის ეტაპობრივი დემონტაჟი:

სამუშაოს განხორციელება მოხდეს საქართველოს მთავრობის მოთხოვნათა გათვალისწინებით:
-- 2007წ 28 მარტის №62 დადგენილება –"მშენებლობის უსაფრთხოების წესები"; -- 2017წ 27 ოქტომბრის №477 დადგენილება—"სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნები"; -- 2014წ 1 იანვრის №429 ტექნიკური რეგლამენტი---"ამწე მოწყობილობების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე; --2014წ 27 მაისის ტექნიკური რეგლამენტი-----"მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ" --საქართველოს ორგანული კანონი "შრომის უსაფრთხოების შესახებ"

5. სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად მოხდეს მშენებლობის წარმოების პროექტის დამუშავება სამშენებლოორგანიზაციის მიერ.

პროექტში გათვალისწინებულია უსაფრთხოების ტექნიკა და გარემოს დაცვის ღონისძიებები. წარმოდგენილია გამოყენებული სამშენებლო ტრანსპორტის კლასიფიკაცია და რაოდენობები.

წარმოდგენილი პროექტი დამუშავებულია შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და დოკუმენტაციის მოთხოვნების გათვალისწინებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ექსპერტიზას შენიშვნები არ აქვს.

პროექტში გათვალისწინებული სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება, მათი გაშლის არეალი და გამოყენებული მანქანა-მექანიზმები, სადემონტაჟო და მომიჯნავე შენობას შორის არსებული მანძილის გათვალისწინებით, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ სადემონტაჟო შენობას არაქვს სარდაფი, აღნიშნული სამუშაოების წარმოება უნდა განხორციელდეს მიწის სამუშაოების ჩატარების გარეშე, რაც თავისთავად გამორიცხავს გრუნტის დაზიანებას,

აღნიშნულიდან გამომდინარე სადემონტაჟო სამუშაოები უარყოფით გავლენას არ მოახდენს მომიჯნავედ მდებარე შენობებზე.

დასკვნა

სადემონტაჟო სამუშაოების პროექტი. დამუშავებული შპს „ ლენდმარკ პროჯექტიის"მიერ ქ. თბილისი, გოძიაშვილის 99ა, ს/კ 01.10.10.016.047 და ს/კ

01.10.10.016.046შენობა-ნაგებობის დემონტაჟის სამუშაოების პროექტი შედგენილია კარგ დონეზე, სრული მოცულობით, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების გათვალისწინებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები.

აღნიშნულიდან გამომდინარე დემონტაჟის პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

კვლევის ანგარიში შეადგინა:

ექსპერტი:

/დ. ტაბატაძე/



დიპლომი

წარჩინებით

У № 001063

Нагр. Академ. знак выдан.

ეს დიპლომი მიეცა ტაბატაძეს
დემური ვლადიმერის-ძეს
მასზე, რომ იგი 1966 წელს შევიდა ვ.ი. ლენინის
სახ. ქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1971 წელს დაამთავრა
ნაციონალური ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით
სამრეწველო და სამოქალაქო
მშენებლობა
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1971 წ.
„30" ივნისის გადაწყვეტილებით
ტაბატაძეს დ. ვ. მიენიჭა
ინჟინერი მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1971 წ. „8" ოქტომბერი

სარეგისტრაციო № С П-300

Грузинский яз.

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

У № 001063

Настоящий диплом выдан Табатадзе
Демури Владимировичу
в том, что он в 1966 году поступил
в Грузинский ордена Трудового Красного
Знамени политехнический ин-т им. В.И. Ленина
и в 1971 году окончил полный курс
названного института
по специальности
Промышленное и гражданское
строительство
Решением Государственной экзаменационной
комиссии от „30" июня 1971 г.
Табатадзе Д.В.
присвоена квалификация
Инженера строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси „8" октября 1971 г.

Регистрационный № С П-300

Московская типография Гознака. 1963.

АТТЕСТАТ
СТАРШЕГО НАУЧНОГО СОТРУДНИКА

СН № 069576

Москва

Решением
Высшей аттестационной комиссии
при Совете Министров СССР
от 15 мая 1991 г. (протокол № 15с/1)

Табатадзе Дмитрию Владимировичу

ПРИСВОЕНО УЧЕНОЕ ЗВАНИЕ

СТАРШЕГО НАУЧНОГО СОТРУДНИКА

ПО СПЕЦИАЛЬНОСТИ
„Строительная механика"

Зам. Председатель
Высшей аттестационной комиссии

Главный ученый секретарь
Высшей аттестационной комиссии

ДИПЛОМ
КАНДИДАТА НАУК

ТН № 069423

Москва 14 марта 1984 г.

Решением
Совета Грузинского НИИ энергетики
и гидротехнических сооружений
от 28 октября 1983 г. (протокол № 5)

Табатадзе Дмитрию Владимировичу

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ

КАНДИДАТА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель совета

Ученый секретарь совета

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 691273
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B13121196
ამონაწერის მომზადების თარიღი: 11/12/2013 11:25:05

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს შენობა-ნაგებობათა კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრი
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, თამარ მეფის გამზ., №5, ბინა 42

საიდენტიფიკაციო კოდი: 404862699
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 20/05/2010
მარეგისტრირებელი ორგანო: საჯარო რეესტრი
საგადასახადო ინსპექცია: თბილისის რეგ.ცენტრი დიდუბე-ჩუღურეთის გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01005016709, რევაზ ცხვედაძე,
  დირექტორი, ,

პარტნიორები

მფლობელი	წილი	წილის მმართველი
01005016709, რევაზ ცხვედაძე,	100.00000000%	

ვალდებულება

გირავნობა

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

ცნობა

ბოლო 5 წლის მანძილზე პროფესორ დემური ტაბატაძის საექსპერტო საქმიანობის თაობაზე, სამშენებლო კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევასა და ექსპერტიზაში

№	სამუშაოს დასახელება	წელი	დამკვეთი
1	*2*	*3*	*4*
1	ქ. თბილისში კაიროს ქ. №38-ში მდებარე სამრეწველო შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და დასკვნის მომზადება.	2009	შპს „ორდი“
	ქ. თბილისში სანდრო ეულის ქ. №5ა-ში მდებარე „რუსთავი 2“-ის კუთვნილი შენობის ე.წ. სტუდიური ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და დასკვნის მომზადება.	2009	შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“
	ქ. თბილისში ი. ჭავჭავაძის გამზირის I ჩიხის №2^{2ა} მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის და კონსტრუქციულ ნაწილზე საექსპერო დასკვნის მომზადება.	2009	მოქალაქე ვასილ სოხაძე
	ქ. რუსთავში მშვიდობის ქ. №12 ქიმბოჭკოს ტერიტორიაზე ტყავის წარმოების საამქროების და ადმინისტრაციული შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და დასკვნის მომზადება.	2009	შპს „ფილიმასკა.ჯი“
	ქ. მარნეულში 26 მაისის ქუჩაზე მდებარე ავტოგასამართი სადგურის და ავტოსახელოსნოების ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ;	2009	–
	ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირის №33ბ-ში მდებარე რვასართულიან ორ სადარბაზოიანი შენობაზე განხორციელებული მინაშენის მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ვიზუალური დათვალიერებით	2009	ბმა ამხანაგობა
	ქ. თბილისში შეშელიძის ქ. №41-ში მდებარე ნაკვეთის და ნაკვეთში აშენებული შენობის ტექნიკური ექსპერტიზა;	2009	მოქალაქე ზაურ ბიწაძე
	ქ. რუსთავში XIV მკ/რ-ში მდებარე შპს „იკორთა-2007“-ის კუთვნილი 54 ბინიან 9 სართულიან მსხვილ	2009	შპს „იკორთა 2007“

1	2	3	4
	ბლოკოვან სახლზე სართულის დაშენების პროექტის ექსპერტიზა;		
	ქ. თბილისში კაიროს ქ. №38-ში მდებარე შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა;	2009	–
	ქ. თბილისში პეკინის ქ. №23, II სართ. ბ.2-ის მიშენების ტექნიკურ მდგომარეობის გამოკვლევა;	2009	მოქალაქე ვ. შარაბიძე
	ქ. თბილისში წყნეთის ქ. №14-ში მდებარე კორპუსის, I სადარბაზოს ბ. №2-ზე მიშენებული აივნის კონსტრუქციის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა	2009	მოქალაქე თ. მაჭავარიანი
	ქ. თბილისში წყნეთის ქ. №14-ში მდებარე კორპუსის, I სადარბაზოს ბ. №6-ზე მიშენებული აივნის კონსტრუქციის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა;	2009	მოქალაქე გ. მაისურაძე
	შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ტერიტორიაზე (სანდრო ეულის ქ. №5ა) მდებარე შენობის გამოკვლევა, ექსპერტიზა	2010	შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“
	მოსკოვის გამზირზე №1-ში მდებარე კორპუსის II სადარბაზოს I სართულის ღია ნაწილის კონსტრუქციების მდგომარეობის გამოკვლევს და დასკვნის მომზადება;	2010	–
	ქაიროს ქუჩა №13ა-ში მდებარე სამაცივრო-სასაწყობო ნაგებობის ექსპერტიზა;	2010	–
	ქ. თილისში, საბურთალოს ქ. №43-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მზიდი კონსტრუქციების ექსპერტიზა;	2010	
	შპს „რემონტალი“-ს კუთვნილის შენობის მზიდი კონსტრუქციების ექსპერტიზა;	2010	შპს „რემონტალი“
	შპს „ინფინიტი“-ს კუთვნილის ქ. თბილისში ალ. ყაზბეგის გამზირი №26/3ბ-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაციის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა;	2010	შპს „ინფინიტი“
	ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონში კახეთის გზატკეცილზე შპს „ელსავაკო“-ს კუთვნილ ტერიტორიაზე ბიზნეს ცენტრის ნაგებობის რკინაბეტონის მზიდი კონსტრუქციების სიმტკიცის შემოწმება;	2010	შპს „ელსავაკო“
	ქ. მარნეულში, გიორგაძის ქ. №3ა-ში მდებარე, მოქალაქე ლელა ხარშილაძის სარგებლობაში	2010	მოქალაქე ლელა ხარშილაძე

1	2	3	4
	არსებულ ბინა №9-ზე განხორციელებული მიშენების მდგრადობის შემოწმება;		
	ქ. მარნეული, გამსახურდიას ქ. №3-ში მდებარე ერთსართულიანი საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა მისი შემდგომი უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით;	2010	
	შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ტერიტორიაზე (სანდრო ეულის ქ. №5ა) მიმდინარე მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობა;	2010	შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“
	ფსიქიკური დაწესებულებების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციისათვის შერჩეული შენობა-ნაგებობების ტექნიკური და კონსტრუქციული მდგრადობის შესწავლა: – ქ. თბილისი სს „აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი“ ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. №18/20 მარცხენა ფლიგელის დამხმარე შენობა; – ქ. რუსთავში, წმ. ნინოს ქ. №5, ამბულატორიული მეთვალყურეობისა და კრიზისული ინტერვენციის ცენტრის შენობა; – ქ. თბილისში, ქავთარაძის ქ. №21ა, არსებული კომპლექსის 5 სართულიანი შენობა;	2011	–
	ბილაინის ანძების ტექნიკური ზედამხედველობა;	2012	შპს „გ და თ სერვისი“
	ქ. თბილისში უნივერსიტეტის ქ. №2-ში მდებარე სს „თიბისი ბანკი“-ს კუთვნილი შენობა-ნაგებობების გამოკვლევა;	2012	სს „თიბისი ბანკი“
	ქ. თბილისში, მიცკევიის ქ. №9-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ყოფილი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის შენობა) ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა;	2012	შპს „ბეგი/ჯორჯია“
	შპს „რუსთავის ფოლადი“-ს კუთვნილი ობიექტების (ქ. რუსთავი, გაგარინის 12, ფასონური სხმულების საამქრო; ბლუმსებისა და სლიაბების საწყობის მიშენება 48 გრძ.მ-ზე 15 ტ. რკალური ღუმელის განთავსებისათვის) 15700 მ2 საწარმოო ფართის კარკასისა და	2012	შპს „რუსთავის ფოლადი“

1	2	3	4
	კონსტრუქციული ელემენტების სრული ინსტრუ-მენტული გამოკვლევა;		
	შპს „რუსმეტალი“-ს კუთვნილი საწარმოო შენობის გამოკვლევა;	2012	შპს „რუსმეტალი
	ქ. თბილისში, შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩების მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი კომ-პლექსის რკინაბეტონის კონსტრუქციების სიმტკიცის განსაზღვრა და საპროექტოსთან შესაბამისობის დადგენა;	2012	შპს „პაულ შულერ უნდ ირაო გრუპ“
	ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. №2-ში მდებარე მრავალ-ფუნქციური შენობის ავტოფარეხის ოთხი სართულის ტორსებზე ღიობების გამოღების და პანდუსის მოხ-სნის მიზნით გაძლიერების პროექტის მომზადება;	2012	შპს „ინ-სი“
	ქ. თბილისში, ყოფილი ბალნეოლოგიური კურორტის, რეაბილიტაციის ეროვნული სამეცნიერო ცენტრის შენობის მზიდი კონსტრუქციების და საძირკვლის გამოკვლევა;	2012	შპს „მარინა ბიჩ ქლაბ ბათუმი“
	ქ. რუსთავში მდებარე შპს „რუსმეტალი“-ს კუთვნილი ერთმალიანი საამქროს სახურავის წიბოვანი ფილების გამოკვლევა;	2012	შპს „რუსმეტალი“
	ქ. თბილისი, ალექსანდრე გობრონიძის №27-ში მდება-რე სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა, დაშლა-დემონტაჟის სამუშაოების პროექტის და კიბის, პანდუ-სის და გადახურვის მოწყობის კონსრუქციული პროექტის მომზადება;	2012	შპს „№2 სამკურ-ნალო პრო-ფილაქტიკური ცენტრი“
	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველაზე მდებარე სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა, დაშლა-დემონტაჟის სა-მუშაოების პროექტის და კიბის, პანდუსის და გადა-ხურვის მოწყობის კონსრუქციული პროექტის მომ-ზადება;	2012	შპს „თბილისის №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი“
	შპს „რუსთავის ფოლადი“-ს კუთვნილი ობიექტების (ორი რკინაბეტონის ხიდის: წიდასაყარის მიმდებარე ტერიტორიის მარის არხის ხიდი; დამკვეთის ცენტრალური ადმინისტრაციის შენობის მიმდებარე	2012	შპს „რუსთავის ფოლადი“

	ტერიტორიაზე არსებული ხიდის) გამოკვლევა;		
1	*2*	*3*	*4*
	შპს „რუსთავის ფოლადი“-ს კუთვნილი ფოლადსადნობი საამქროს კარკასის ინსტრუმენტალური გამოკვლევა 45-87 ღერძებში, ი-კ-ლ მალები, საერთო ფართობით 15120 მ^2;	2012	შპს „რუსთავის ფოლადი“
	ქ. თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქ. №48-ში კორპუსი №10-ის მიმდებარედ ერთსართულიანი ნაგებობის შიდა წყლის მილების ხანდაზმულობის დადგენა;	2012	შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“
	დუშეთის რაიონში, სოფელ სეთურებში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ №71.35.47.024) მშენებარე 9-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა მისი პროექტთან შესაბამისობისა და მდგრადობის დადგენის მიზნით;	2013	შპს „Green Wall Development“
	- შპს „რუსთავის ფოლადი“-ს კუთვნილი ფართების სრული ინსტრუმენტალური გამოკვლევა;	2013	შპს „რუსთავის ფოლადი“
	- ხონში არსებული ტერიტორიის შემოღობვის შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა;	2013	შპს „LAV-TRAVEL“
	ბმ ამხანაგობა „აისი“-ს კუთვნილი ობიექტის, მდებარე ქ. თბილისი, აღმაშენებლის 151-ის კორპუსის სადარბაზოს რემონტის შესრულებული სამუშაოების (ფორმა №2) ექსპერტიზა;	2014	შპს „ჯეოგარანტი“
	ქარელის მუნიციპალიტეტში (სოფლები ავლევი, ბრეძა, თამარაშენი, კოდა, რუისი) ამბულატორიების საძირკვლის მოწყობის შესრულებეული სამუშაოების (ფორმა №2) ექსპერტიზა;	2014	შპს „სმ ბილდინგ კომპანი“
	ქ. თბილისი, ლიხაურის შესახვევი №9-ში შესრულებული სამუშაოების მოცულობების ექსპერტიზა;	2014	ბინათმშენებლობის ამხანაგობა „მეცნიერება-2005“
	ქ. თბილისი, გლდანი (ნაკვეთი 074, კვარტალი 12, სექტორი 13, ზონა 72), მშენებარე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ექსპერტიზა პროექტთან შესაბამისობის დადგენის, მისი პროექტთან შესაბამისობაში მოყვანის ხარჯების დადგენისა და დარჩენილი სამუშაოების შესრულების ხარჯთაღრიცხვის შედგენის მიზნით;	2015	მოქალაქე მარინა ნიქაბაძე
	ბმ ამხანაგობა „ელექტროტრანსპორტი“-ს ობიექტის,	2015	იმ „ვახტანგ ხინი-

	დარჩენილი სამუშაოების შესრულების ხარჯთაღრიცხვის შედგენის მიზნით;		
	ბმ ამხანაგობა „ელექტროტრანსპორტი“-ს ობიექტის, მდებარე ქ. თბილისი, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი,	2015	იმ „ვახტანგ ხინიკაძე“
1	*2*	*3*	*4*
	კორპუსი №33 I, II, III, IV სადარბაზოების შესრულებული შიდა სარემონტო სამუშაოების მოცულობების ექსპერტიზა;	2015	

შპს „"შენობა-ნაგებობათა კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრის“

დირექტორი რეზო ცხვედაძე

